№ 275

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 275

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

საკანდიტერო და საბულქო

**იუზბაშევისა**

(ერევნის მოედანი)

აუწყებს პატივცემულს საზოგადოებას, რომ მომავალ დღესასწაულებისათვის მიუღია დიდძალი შემკულობა შობის-ხეებისათვის: კარტონის ლამაზი ბუდეები, ბონბონიერები, სატკაცუნებლები, პარიფინის სანთლები, შანდლები და სხვ. აქვთ აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები საშობის-ხეო კონფეტები, ყოველგვარი ტკბილი პურები, შოკოლადის-პურები და წვრილი კონფეტები კარტონის ბუდეებში ჩასალაგებლად. **მზადდება ყოველ-დღე ახალ-ახალი ტკბილი კონფეტები.** როგორც წარსულ წლებშიც, ახლაც შეიძლება სხვა-და-სხვა სასწავლებლებმა შემოგვიკვეთონ პაკეთებსა და კოლოფებში ჩალაგებულ კონფეტების დამზადება. ფასები ძვირი არ არის. სასწავლებლებისათვის ნასყიდზე ფასი დაკლებული იქნება.

(2—3021—1).

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 20 დეკემბერს, 1895 წ.

ბენეფისი

ვლ. ალექსი-მესხიშვილისა,

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ საფაროვისა, ავალოვისა, და კ. ყიფიანის მონაწილეობით

I

**ურიელ აკოსტა**

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის მიერ.

II

**ადვოკატთან**

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი: ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე, მჭედლიშვილი, თამაზიშვილი, კარბელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ოთხშაბათს, 27 დეკემბერს,—დანიშნულია ბენეფისი კ. ყიფიანისა.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 20 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება „ურიელ აკოსტა“, ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია გუცკოვისა და „ადვოკატთან“, ვოდევილი 1 მოქმ. ვ. გუნიასი. წარმოდგენა დანიშნულია ჩვენის საყვარელისა და ნიჭიერის არტისტისა და დაუღალავის რეჟისორის, ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ. თავისს ბენეფისში ბ. ალექსი-მესხიშვილი არდგენს ცნობილს ტრაგედიას „ურიელ აკოსტას“, რომელიც მეტად მოეწონა ჩვენს საზოგადოებას და რომელშიაც თვითონ მეტად მშვენიერად თამაშობს უმთავრესს როლს. დარწმუნებულნი ვართ, ქართველი საზოგადოება კვლავინდებურად თანაგრძნობით მიეგებება ჩვენის ძვირფასის არტისტის ბენეფისს.

*** უმაღლესის მთავრობის ბრძანებით, როგორც გაზეთ „კავკაზ“-ი ამბობს, ტფილისში დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს და გადაათვალიეროს ყველა კანონები კავკასიის გლეხთა შესახებ. კომისიის თავმჯდომარედ არის მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბ. იაკიმოვი; წევრებად არიან: ტფილისის გუბერნატორის თანაშემწე გრაფი ტიზენჰაუზენი, თავ. ნიკ. აბაშიძე, თავ. პ. ა. გრუზინსკი და კ. ი. სლოვინსკი. კომისიის თავმჯდომარეს ნება აქვს აგრეთვე მიიწვიოს თანამშრომლად სხვა პირნიც, თუ საჭიროდ დაინახავს.

*** ქალაქის თვით-მმართველობამ, იმის გამო, რომ ქალაქში გადამდები სნეულებანია გავრცელებული—ყელ-ჭირვება, წითელა და ყვავილი, გადასწყვიტა ქალაქის ყველა სასანიტარო ექიმის სახლში 1896 წლის პირველ იანვრიდამ ტელეფონები გაიყვანოს, რათა გაჭირვების დროს მკვიდრთ ადვილად შეეძლოთ ამათი დაბარება. ვისაც ღარიბთაგანს სახლში ავადმყოფი ეყოლება, შეუძლიან პოლიციას მიჰმართოს და პოლიცია, რომელსაც ქალაქის ყველა ექიმის ადრესი უწერია, ტელეფონითვე შეატყობინებს იმ ნაწილის ექიმს, რომელ ნაწილშიაც გაჭირვებული მკვიდრი სცხოვრობს, ან, თუ არ არის, რომელსამე სხვა ექიმს სთხოვს ავადმყოფის სანახავად წასვლას.

*** ბ-ნს გიორგი გვაზავას, რომელიც ილია ხონელსა და გაზ. „კავკაზ“-ის რედაქტორ ი. ნ. მილიუტინზე ჩიოდა თავისს ცილის-წამებას და რომელსაც მეორე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწემ უარი უთხრა, თქვენს საჩივარს მომრიგებელი-მოსამართლე ვერ განიხილავსო, იგივე საჩივარი ახლა გამომძიებლისათვის მიუცია.

*** ამბობენ, რომ სახაზინო რკინის გზათა მმართველობას განუზრახავს მოახდინოს რევიზია და გამოარკვიოს, თუ რატომ გაგრძელდა ასე დიდხანს დაზიანებულ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის შეკეთება.

*** ჩვენ გავიგეთ, რომ ქართულის ენის კარგად მცოდნეს გადაუთარგმნია ლ. ტოლსტოის დრამა „სამეფო წყვდიადისა“, რომელსაც მალე გარდასცემს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

*** განჯა: განჯის გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მეცადინეობით და მთავრობის ნებართვით შიგ განჯაში დაარსეს მუდმივი განყოფილება ტფილისის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. რამდენად დიდ-მნიშვნელოვანია ასეთი ნაბიჯის წადგმა განჯელებისათვის, ჩვენ არას ვიტყვით, რადგანაც ვიცით, რომ საზოგადოდ გაუმჯობესებული მეურნეობა დღეს ყველასათვის სასურველიც არის და სანატრელიც, მაგრამ ამის შემდეგ რომ უფრო დიდს წარმატებას შესძენს განჯელებს სამეურნეო განყოფილება, ამისი თქმა მეტია.

*** ს. ქვემო-მაჩხაანი: აქ შილდიდამ ორი საპატიო ინტელიგენტი მოვიდა მაჩხაანის სახალხო დეპოს წარმოების გასაცნობად, რადგანაც მომავალის წლის იანვარში შილდაშიაც აპირებენ ასეთისავე დეპოს დაარსებას. დეპოს გამგეობამ დიდის თანაგრძნობით მიიღო სტუმარნი, გააცნო დეპოს წარმოება, მისი ავ-კარგი და ყველა სავაჭრო, საჭირო ცნობები დაწვრილებით აუწყა.

### კავკასიის სტუდენტების დახმარების საქმის მოწყობა.

ამას წინად ჩვენ მოვიხსენიეთ და ამოვიწერეთ ზოგი ადგილი „ნოვ. ობ-“ში დასტამბულ წერილიდამ ბ. კაჩ—სა, რომელიც მოსკოვის კავკასიელ სტუდენტების გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ იწერებოდა; შემდეგ „ივერიაშიაც“ დაისტამბა პატივცემულ ა. ხ—ის „წერილი მოსკოვიდამ“, რომელშიაც ავტორი იმავე საგანს შეეხო. ასე ყოველ წელს, თითქმის ერთ და იმავე დროს, საზოგადოებას მოაგონებენ ხოლმე ჩვენის სტუდენტების უნუგეშო მდგომარეობას. თუმცა სრულიად მეტი უნდა იყოს ამის გახსენება, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რა გასაჭირსა და უბედურს მდგომარეობაში არის რუსეთში უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ახალ-გაზდობა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც გაჭირვება ასე ხმა მაღლად ღაღადებს, ჩვენ-კი აღარა გვეშველა-რა და ვერ მოვაწყეთ დახმარების საქმე!

ჩვენ არ გავიხსენებთ სხვა მრავალს განზრახვასა და მეცადინეობას კავკასიაში „დამხმარებელ საზოგადოების“ დაარსებისა; ვიტყვით მხოლოდ ქართველ საზოგადოების უკანასკნელ წლის ცდის შესახებ. რამდენი წესდება შედგა, რამდენი წერა და სჯა იყო, რამდენი კრება

## ფელეტონი

### ჩარხ-ბაცაცობაა ინდუსტრიაა?

თქვენს წერილში, ბატონო ანტონ, მრავალი იმისთანა შემთხვევა დაგვისახელეთ ჩვენსავე წარსულ ცხოვრებიდამ ამონაკრეფი, რომლებიც უიმისოდაც ყველას ახსოვს და რომელთა სინამდვილეში ეჭვს ვერავინ შეიტანს. ამისთანებია, თვითეული ნათქვამი ქართველობისაგან უძრავი მამულების დაკარგვა—საუკეთესო აღმა-დაღმა და გარდი-გარდმო მიწების ჩულქებად, კრუჟოვებად და ვინ იცის კიდევ რად გარდაქცევა. თვით მამულები არიან უტყუარნი თქვენი მოწამენი. ყველა ეს ისეთი მართალია, რომლისთანაც ხშირად შეურაცხებად უჯდება მთქმელს და მადლობის შემწირველს-კი ერთსაც ვერ იპოვის იგი.

თქვენ წარსული ცხოვრებიდამ გადაგვიშალეთ ჩვენი უკულმართობის სურათები, მე მოგახსენებთ, რომ თანამედროვე ცხოვრებაც ამისავე შესახებ მრავლისაგან უმრავლეს უკუღმართობას გვიხატავს თვალ-წინ. თანამედროვე უკუღმართობა უფრო საშიშია, რადგანაც იგი მომეტებულს შემთხვევაში თავს იფარავს უკუღმართისავე განათლებით, რომელსაც თვითეული ისე ჰმარტავს, როგორც თვით უჯობს. მრავალ არიან ჩვენთა მოძმეთა შორის ესრედ წოდებულნი განათლებულნი, რომელნიც მუქთამჭამელობას, სხვისი ოფლით ნაშოვნის რთმევა-გლეჯას ამართლებენ. არ გეგონოთ, ისინი ლოღიკურად არა სჯიდნენ. „თვითეული ადამიანი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება საუკეთესოდ მოაწყოს თვისი ცხოვრება. მეცადინეობა იმ მხრივ უნდა იყოს მიმართული, რომ ნაკლები ძალღონით უკეთესი სუფრა დაისაკუთროს ცხოვრების მეჯლისზედ. წარმოიდგინეთ, რომ მე შინ არა მაქვს, რაც დღეს მესიამოვნება, ან, თუ მაქვს, მინდა შევინახო, დავზოგო, ამიტომ მივდივარ ჩემს ნაცნობთან, მიმაქვს ახალ-ახალი ამბები. ზოგი გაგონილი და უმეტესი ჩემგან გამოგონებული. იქ მოუჯდები ნაცნობის სუფრას და როგორც სასიამოვნო (რადგანაც ათასში ერთია, რომელსაც თვისი ქება და სხვის ძაგება სასიამოვნოდ არ მიაჩნდეს) სტუმარი შევექცევი. მართალია, მეც ტვინის ძალ-ღონე მეხარჯება ახალ-ახალი ამბების გამოგონებაზედ და გაგონილის სასურველად გადაკეთებაზედ, მაგრამ მაინც მე იმ კაცობრიობის მესვეურთა პრინციპს არა ვღალატობ. იმ პრინციპს, რომლის წინამორბედობით აჭყავებულია მთელი განათლებული სახელმწიფოები და რომელზედაც აღმოცენდა უთვალავი სხვა-და-სხვა მანქანა. ჩემგან გამოგონებული მანქანა მხოლოდ იმითი გაირჩევა, რომ საცხებელი არ სჭირია მოქმედებისათვის“. რა უჭირს ამ ლოღიკას? იქნება იფიქროთ, ეს ჩემგან იყოს გამოგონებული. არა, ბატონო, მე ვიცი, და თქვენც კარგად იცით, რომ ამისთანების სახელი ჩვენში „ლეგიონია“. ამას ამბობენ, ვთქვათ ალექსანდრენი, თუ მიხეილნი ცხოვრების პირობებით განირჩევიან ალექსანდრეთაგან (მრავლობითი რიცხვი საკუთრებითი სახელებისა ჩემზე იყოს), ზემორე ნათქვამს მცირედ შესცვლიან და თვის ცხოვრებას შეუფერებენ.

„კაცობრიობის წინ-სვლა გარდამეტებით დამოკიდებულია მოთხოვნილებათა განმრავლებაზე და მათს დაკმაყოფილებაზე. მე თუ მეტი მოთხოვნილებანი მაქვს, ვიდრე შენ, ეს იმის ნიშანია, რომ მე წინა ვარ შენზე. მე თუ ვეცდები და ჩემს აუარებელს მოთხოვნილებათა სიმრავლეს უნაკლულოდ დავიკმაყოფილებ, ამით კაცობრიობის წინ-სვლაში მონაწილეობას ვიღებ, ამ დიდს საქმეს ვემსახურები. ამისთანა დიადი საქმის, როგორიც კაცობრიობის წინ-სვლაა, სამსახურისათვის მამულიც უნდა გავყიდო, თუ შეიძლება ტყავიც გავაძრო ყველა იმათ, რომელთა მოთხოვნილებანი ისე მცირეა, რომ მათი დაკმაყოფილება კაცობრიობის წინსვლას არაფრით შეეწევიან, რადგანაც მათი დასაკმაყოფილებელნი საშუალებანი ჯერ ისევ ნოეს დროს არიან გამოგონილნი. უაღრესი სიმართლე არ მოითხოვს დაბალი ხარისხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელნი საშუალებანი გამოვგლიჯო იმათ ხელიდამ და მით ისეთი საგნები შევიძინო, რომლის სახელები არ იციან საშუალებათა დამკარგველთ? მე, შენ, იმან თუ არ შევიძინეთ ამისთანა საგნები, ხომ წარმოება ამ საგნებისა დაეცემა? თუ არა მაქვს საშოალება, უნდა მოვიპოვო ცხოვრების მეჯლიშზედ ბრძოლით. ეს ბრძოლა რა სახისაა და რა მიმართულებისა სულ ერთია, მაინც ბრძოლაა და ბრძოლა. საქმე იმაშია ბრძოლის შედეგი მთელი კაცობრიოპის წინ სვლას ემსახურებოდეს“ რაში დაიწუნებთ ამ ლოღიკას? ასე, ბატონო, ამნაირი ლოღიკური საბუთებით მართლულობს თავს ყოველგვარი უკულმართობა ჩვენთა მოძმეთა შორის. ოჯახი რა არის, ოჯახის ზნეობით უკულმართობასაც თვისი ლოღიკური საბუთი აქვს, რომლითაც ქეზდება თვით უკულმართობა ანუ უკეთ-უზნეობა. თქვენს წერილში ერთგან ქრისტეს სწავლასაც ახსენებთ. ამ სწავლამაც ჩვენთა მოძმეთა შორის სხვა ტანისამოსი ჩაიცვა. „თვით ქრისტე ბრძანებს, დაანებეთ თავი თქვენს ოჯახს, თქვენს პირად საკუთრებას და თქვენს პირად ინტერესებს, შემომიდექით მე და მემსახურეთო. მეც ამას ვთხოულობ,

მოვახდინეთ, მაგრამ სად არის შედეგი?! რატომ არ ვიცით დღემდის, სად არის მიღებული და საზოგადოების მიერ მოწონებული წესდება?..

დაგვიანება აღარ ვარგა, საჭიროა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი საქმეს და მოვაწყოთ ჩვენის სტუდენტების დახმარება...

გუშინდელს „ნოვ. ობოზრ.“-ის ნომერში დასტამბულია წერილი, რომლით გაზეთი იწვევს ტფილისის საზოგადოებას კრებაზე კვირას, 24 დეკემბერს, დილის 10 საათზედ „სამეურნეო საზოგადოების“ დარბაზში. კრებამ უნდა გამოიკვლიოს ეს საგანი და ყველა, ვისაც ჰსურს—დაარსებული იყოს კავკასიის სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება, უთუოდ მხურვალედ და თანაგრძნობით მიეგებება გაზეთის მოწოდებას.

## იმერეთის სამღვდელოების კრების გამო ქუთაისში.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში იმერეთის სამღვდელოებას კრება ჰქონდა ქუთაისში. კრებამ განიხილა სხვა-და-სხვა სასულიერო წოდებისათვის საჭირ-ბოროტო საგნები, რომელთა შორის ერთ-ორზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას.

ქუთაისში, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, არსებობს ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი, რომლის გამგეებმა წარმოუდგინეს სამღვდელოებას პროექტი შესახებ პანსიონის დაარსებისა ზემოხსენებულს სასწავლებელში. ეს ორი წელიწადია, რაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში პანსიონი მოისპო. არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სამღვდელოებას პრინციპიალურად უარეყოს პანსიონის („ბურსის“) ცუდი გავლენა შეგირდებზე. აქ მათი ყურადღება სულ სხვა მხარემ მიიპყრო, სახელდობრ იმან, რომ ამ პანსიონზე აუარებელი ფული იხარჯებოდა უთავ ბოლოდ და სარგებლობა-კი იმდენი არა იყო-რა. შეამჩნიეს, რომ აქაც კაცთა ხელის უკულმართობამ ცუდი გავლენა იქონია მათს თხელს ჯიბეზედ. კერძო პირები „დაკეთდნენ“, როგორც ისინი ამბობენ ხოლმე სამღვდელოების ფულებით და მათი შვილების ნივთიერი და ზნეობრივი მდგომარეობა ისევ იმ ხარისხზე დგას, როგორზედაც ამ 20—30 წლის წინად იყო. გამოიანგარიშეს, რომ იმავე ფულით უფრო ბევრ ღარიბ მოწაფეებს დაეხმარებიან გარეთ და იხელმძღვანელეს-რა ასეთის ანგარიშით, სამღვდელოებამ დაჰხურა პანსიონი და იმ ფულით გარედ დაუწყეს მოსწავლეებს დახმარება.

სწორედ ესევე მიზეზი იყო, რომ საქალებო სასწავლებელში პანსიონის დაარსება უარ-ჰყო სამღვდელოების კრებამ... „Нѣтъ худа безъ добра“-ო, იტყვიან ხოლმე რუსები და მართლაც ასე მოუვიდა საქალებო სასწავლებლის პროექტს. ისევ „ჯიბის სითხელისა“ გამო უარ-ჰყვეს პანსიონის დაარსება და პრინციპიალურად მაინც არავინ შეეხო მას. თავი და თავი მიზეზი პანსიონის საჭიროებისა, როგორც ამბობდნენ ზოგიერთი მისი მომხრენი, ის ყოფილა, რომ „მოსწავლე ქალები მოშორებით დგანან სკოლაზე; თავისს დროზე ვერ დადიან სკოლაში, იღალებიან, ავადხდებიან და ზოგი შორიდამ სიარულის გამო კიდეც მოკვდაო“ და სხ. საკვირველი მოსაბუთე-კი ყოფილა სწორედ ეს „ბურსაციზმის“ მომხრე პირი!.. ვის გაუგონია სიარულისაგან ბავშვების ავადმყოფობა, სიკვდილი?!. განა არ შეიძლება პანსიონის დაუარსებლად მოსწავლეები სკოლას დაუახლოვონ და მით სამღვდელოებასაც აარიდონ მეტი ხარჯი და მოსწავლეებსაც მისი ცუდი გავლენა?!. ნუ თუ აღარ ახსოვთ ბ.ბ. პანსიონის პროექტის შემდგენელთ რა სასურველი გავლენა ჰქონდა მათზე იმ „დახურულ“ სასწავლებლებს, რომლებიც მათ წყევლა-კრულვით გამოიარეს და როგორათაც მათ ქუთაისის საქალებო სასწავლებლის გადაკეთება მოუსურვებიათ?!. ჩვენის აზრით, მახლობელი მცხოვრებლები დიდის სიამოვნებით იკისრებენ 5—8 მოსწავლის შენახვას, თუ-კი ამის ნება ექნებათ სასწავლებლიდამ და მით აარიდენენ იმათს ზედამხედველებს შორს სიარულს სადგომების დასათვალიერებლად, თუ-კი ეს მათთვის საძნელოა და არა პირიქით მოსწავლეების სიარულის სიძნელეს მოიყვანდნენ პანსიონის საჭიროების საბუთად.

გარდა ამისა სამღვდელოების კრება არ იყო კმაყოფილი იმ ფაქტით, რომ საქალებო სკოლის გამგეობამ არ წარმოადგინა კრებაზე სამი წლის სკოლის ხარჯთა აღრიცხვა, ანგარიში ამის მიზეზად სკოლის მმართველობამ ის დაასახელა, რომ ეს სასწავლებელი სამღვდელოებას არ ექვემდებარება კანონის ძალით, თუმცა, როგორც ნახეს, ეს კანონი მათ აკუთვნებდა ამ სკოლის თვალყურის გდებას.

ეს რამდენიმე წელიწადია იმერეთის სამღვდელოებას სულ თანდათან ემატება „ნასწავლ“ სემინარიელთა რიცხვი, მაგრამ რაც ყოფილა სამღვდელოების კრება ამ 20—30 წლის წინად, იგივეა ახლაც. არავითარი ცხოვრების ახალი საკითხები, არავითარი ახალი მიმართულება კრებაზე სჯა-ბაასში და მათი დალაგებული მიმართვა სხვაზე და ვიზედმე, არ ეტყობოდა წლევანდელ კრებას სამღვდელოებისას, საზოგადო შთაბეჭდილება იმათი კრებიდამ ის გამოვიტანეთ, რომ ჯერ არ ლაპარაკობდენ „ნასწავლები“ (როგორც მათ ძველი თაობა უძახის) საჭირო საგნების შესახებ და როცა ალაპარაკდებოდნენ ერთმანეთს აღარც-კი აცდიდნენ; თითქო ცდილობდნენ ძალადობით, ყვირილით, ხმის გადაჭარბებით თავიანთი დიაკონურად მოჭრილი სიტყვა გაეყვანათ. დუმილის მიზეზი ყველას სახეზე ნათლად იყო აღბეჭდილი, თითქო ვკითხულობო, ვინ რატომ არ ლაპარაკობსო. ზოგი მაგ., იმისათვის არ იღებდა ხმას და სადაც საჭირო იყო არ ერეოდა ბაასში, რომ უმაღლეს ადგილს მოელის, ან ქალაქად გადმოსვლა სურს და მაშასადამე არ აწყენინოს, ხათრი არ გაუტეხოს ვისმე. ზოგი გულ-გატეხილი თავისი უნაყოფო მოქმედებით გაბუტული ზის ეგერ გვედრზე ან კიდევ სრულიად არ ესწრება კრებებს, განისვენებს სოფლად. ზოგი მათგანი ბევრსაც ლაპარაკობს, სჯის, ბაასობს, მაგრამ, რადგან ასეთების რიცხვი მცირეა, თითებზე დასათვლელათ არ გეყოფა, მათი ლაპარაკი საზოგადო ყვირილში ინთქება, უნაყოფოდ რჩება. ამისთანაებზედ მოფილოსოფოსე ბობოლაები ლაპარაკობენ: «ეჰ, მაგენი ყოველთვის, ყველას და ყველაფერს კრიტიკას უშვრებიან და კრიტიკაზე ადვილი-კი არაფერია. გნებავსთ ყველაფერს ახლავე კრიტიკას ვუზამ და ჩვენ მოქმედებას ყველაფერს უარს ვყოფ, გავაბათილებ; მაგენს ნუ ავყვებით, თვარა ამ კვირაშიაც აქ გვაყურყუტებენ და ჯორებს შიმშილით დაგვახოცინებენ“ აი ამისთანა და მაგვარი სიტყვების მოლაპარაკეებს ბევრს წავაწყდით ჩვენ კრებაზე და რა გასაკვირია, რომ ისინი კრიტიკულ სჯა-ბაასს, დალაგებით ლაპარაკს გაურბიან და არა თუ თითონ სხვებსაც ხელს უშლიან ამაში.

ჩვენ ბევრი შეგვხვედრია სემინარია დამთავრებული ახალგაზდები, რომელნიც მანამ შკოლური იდეალები რა გაქრობოდათ, უარს ამბობდენ ღვდლობაზე და მერე, როცა ანაფორაში ნახავდით თავს იმით იმართლებდენ, „რომ სამღვდელოების კრებებში მინდა ახალი რამ ცვლილება შევიტანო, სოფლად გაჭირვებულ და დაქვეითებულ გლეხ-კაცობას დავეხმარო, გავაცნობიერო და საზოგადოთ, ხალხში ვიმოქმედო და ყოველივე ეს-კი უდრესია იმაზე, რაც-კი რამ მე შემიძლიან გავაკეთო ჩემ სიცოცხლეში უანაფოროთ და მრ. სხ.“ ამისთანა სიტყვების მოლაპარაკე სემინარიელები ბევრი შეგვხვედრია ჩვენ სოფლადაც და ქალაქებშიაც, მარა უმეტეს მათგანს ყოველივე ეს დავიწყებია, შესისხლ-ხორცებია ცხოვრების სიწამხდრეს და ჩვეულებრივად ხელჩაკიდებული მიჰყვება მას. აღარ აინტერესებს მათ აღარც ჟურნალ-გაზეთები და მათში გამოხატული ახალი მოვლენანი და ახალი საკითხები; არ ერევიან არავითარ საზოგადო საქმეებში და თუ ერევიან ისე, სახელისათვის და არა წრფელის გულით და სხ. როგორც დავაკვირდი სოფლად და ქალაქებში მათ ცხოვრებას, უმეტეს მათგანს არავითარი ჟურნალ-გაზეთი არ აქვს გამოწერილი და ახალ წიგნების ნახვა-წაკითხვა-კი არა, გაგონებაც არ აქვთ. არ ადევნებენ თვალ-ყურს არა თუ უცხო ლიტერატურას, ჩვენებურსაც ალმაცერად უცქერიან, არ კითხულობენ. მერე რად ემართებათ ეს ჩვენებურ მღვდლებს—სოფლად, სადაც ორთა შორის, იმათაც ჯეროვანი ადგილი უნდა ეჭიროსთ დაჩაგრულთა გამოფხიზლება-განვითარებაში.

ყოველივე ეს ჩვენის აზრით იქიდამ წარმოსდგება, რომ 1, ეხლანდელ მღვდლებს შესაფერი განვითარება აკლიათ, ცოდნას მოკლებულნი არიან, რადგან თანამედროვე ლიტერატურას და ცხოვრების მიმართულებას სრულიად თვალ-ყურს არ ადევნებენ და ის, რაც სემინარიაში შეუძენიათ, როგორც უსისტემო რამ, უკვე ავიწყდებათ. 2, მოდიან კრებებზე სრულიად მოუმზადებლები.

ქუთათური დამსწრე.

## ქალაქის საბჭო.

18 დეკემბერი.

წაკითხულ იქმნა წინანდელ კრებათა ოქმი. შემდეგ ქალაქის მოურავმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა მოახსენა კრებას, რომ გარდაიცვალა ვ. ვ. ბეზობრაზოვი, რომელიც სასანიტარო დასის თავმჯდომარედ იმყოფებოდა ხოლერობის დროს და მცირე სამსახური არ მიუძღვის ქალაქის წინაშე ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაშიო, და სთხოვა ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ განსვენებულისათვის. საბჭომ ფეხზე წამოდგომით პატივი-ჰსცა განსვენებულის ვ. ვ. ბეზობრაზოვის ხსენებას.

საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, თუ 1896 წელს რა დღეებში იქნება საბჭოს მორიგი კრებანი და შეიწყნარა ქალაქის გამგეობის ის მოხსენება, რომ, რადგან 1896 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ კიდევ არ განუხილავს საბიუჯეტო კომისიას, მოსალოდნელიც არის, რომ თებერვლამდე ვერ განიხილოსო, საბჭოსა ვთხოვთ ნება მოგვცეს 1896 წლის პირველ იანვრიდამ ამ 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვით ვიხელმძღვანელოთო.

დიდი ლაპარაკი გამოიწვია ქალაქის მოურავის იმ წინადადებამ, რომ

---

რასაც ქრისტე თხოულობს. რაში ვარ გასამტყუნარი? შენ თუ ქრისტეს სწავლა გწამს, შეასრულე მისი ბრძანება, მემსახურე მე და მარტო მე, მაშინ ჩვენ ორივენი ქრისტეს სწავლის მიმდევარნი ვიქნებით“. მრავალი უკულმართობის გასამართლებელი საბუთები ვიცი, მაგრამ ჯერ ეს კმარა. გამოვიდა, რომ თქვენს ნათქვამს ჩემიც დაუმატე. მაგრამ, თუ აქნობამდის ჩვენის ცხოვრების ბორბლის უკულმართად ტრიალისათვის დამნაშავე მოძმეთა ჩვენთა ხმა არ გავეცით, ეგ ვერაფერი საბუთია, რომ ახლაც ხმა არ გავცეთ გარეშეთა. ნუ თუ დედამ, რომლის ძუძუთას ადრევე გამოუვიდა სარძევე კიჭები და ძუძუზე კბენას ითმენს, სხვასაც მოთმინებით უნდა მოაჭირებინოს ძუძუზე კბილი? განა შეიძლება უცხო მით გავამართლოთ, რომ შვილიცა ჰკბენდა ძუძუზე? თქვენ, ბატონო ანტონ, ჩემის მოკლე ჭკუით, საკითხს ზურგი აუქციეთ, მაგრამ რა-კი ინდუსტრიით ბრძოლას შეეხევით, არ შეიძლება, ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ ამაზე, რადგანაც საჭიროა ჩვენ ყველასათვის გამოირკვეს ეს საკითხი სავსებით. მე, რასაკვირველია, ეს არ შემიძლიან, ამას იკისრებენ ჩემზე უკეთესნი; მე მხოლოდ გკითხავთ და გთხოვთ ამიხსნათ:

1) ქართველმა დიდ ხანს შარად დაგდებული საკუთარი მამულის, რომლითაც ყველა გამვლელ-გამომვლელი სარგებლობდა, გალავნის შემოვლება განიზრახა და დაიწყო საძირკვლის ჩაყრა. შემოხიზნულთ დავა განუცხადეს საქალაქოთ. დავა ქართველმა მოიგო ყველა სამსაჯულოში. ისევ დაიწყო ჩაყრა საძირკვლისა. მთელი ორი კვირის განმავლობაში დღისით ერთ არშინს აშენებდა გალავნისას და ღამე დაუქცევდნენ. თურმე გაფიცულან შემოხიზნულნი ჯვარსა და სახარებაზე ღვდლის მეთაურობით „არ მივცეთ მოსვენება. ყოველ ღამე დაუქციოთ, რასაც ააშენებს, გაკოტრდება და თავს დაანებებს.“ მართლაც, ქართველი დიდ ვალში ჩავარდა დავისა და დაქცევის გამო, თუმცა ბოლოს ააშენა გალავანი. ამისთანა ქცევა შემოხიზნულთა ინდუსტრიაა?

2) ქართველმა საუკეთესო სადუქნო ადგილზე თოთხმეტი თვალი დუქანი ააშენა. ამ დუქნების გაქირავებით სხვაგან თოთხმეტი თვალი უნდა დახშულიყო ჯერ-ჯერობით. შემოხიზნულნი გაიფიცნენ—ჯვარსა და სახარებაზე, არავინ არ დაიქიraოს არც ერთი დუქანიო და სხვასაც დაუშალოსო. ამ გაფიცვამ რამდენსამე წელიწადს დუქნები ცარიელები დასტოვა. ეს მოქმედება ინდუსტრიაა?

3) ქართველს დედა ჰყავნდა ავად, მის წამლობისათვის ნაწარმოების გაყიდვა უნდოდა. გამოჩნდა მსყიდველი, გაურიგდა ნაწარმოებს ოცს თუმნად და ბეთ ერთი თუმანი მისცა. მეორე დღისათვის დაჰპირდა, კიდევ ფულის მიცემას. წავიდა და თვალით აღარ დაენახვა, მანამ გამსყიდველს დედა არ გარდაეცვალა. ქვეყანას-კი გააგებინა, რომ ავადმყოფის პატრონის ნაწარმოები მისი ნასყიდია. გარდაცვალების დღეს თითქოს მიწიდამ ამოძვრაო, იქ დაიბადა. შემდეგ სამძიმრისა და დიდის ბოდიშისა, განუცხადა ჭირისუფალს, ის ერთი თუმანი, ბეთ რომ მოგეცი, შენთვის შემომიწირავს. მაგგვარი ნაწარმოები სხვაგან ბევრი ვიყიდე და შენი აღარ მინდა, ვისაც გინდა, მიჰყიდე. ბეზე ხელი ამიღიაო. საქონელი დაიაფდა, გასავალი აღარ აქვსო. ჭირისუფალს თავ-ბრუ დაეხვა. ახლა ამ დანისყელზე სად წავიდოდა. ისევ იმას შეეხვეწა. იმანაც დიდის თხოვნის და ხვეწნის შემდეგ, შეიბრალა გაჭირვებული და ათ თუმნად წაიღო ოც თუმნიანი. ეს ინდუსტრია, თუ ჩარჩ-ბაცაცობა?

4) თერთმეტს გაკეთებულს სოფლელს უჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან ნაცნობმა მოქალაქემ. დანიშნულს დღეს გლეხნი ცხენებით გამოემგზავრნენ. შუა გზაზე მოჩივარი წამოეწიათ. მიესალმათ. ჰკითხათ მიზეზი მგზავრობისა. გადიხარხარა, მე გეხუმრეთ და თქვენ მართლა მიგილიათო. მაგრამ რა-კი მივახლოვდით, მაინც დიდი ხანია; მე თქვენი დაპატიჟება მინდოდა; თუ არ ასე მე თქვენ ვერ ჩაგიგდებდით ხელშიო. წაიყვანა შინ, დასხა, თვითონაც გვერდით მოუჯდა და დაუწყო მასპინძლობა. როცა შექეიფიანდენ სოფლელნი, წამოხტა მასპინძელი:—მე თვითონ გავიქცევი ერთს დუქანში საუკეთესო ღვინო მეგულება, მოვატანინებო. წავიდა, ღვინო გამოუგზავნა. თვით სასამართლოში დაესწრო იმ საქმის გარჩევაზე, გადააწყვეტინა თავის და სასარგებლოდ და დაუბრუნდა ისევ სტუმრებს. გადაწყვეტილების პირი რომ მიიღეს სოფლელებმა, მაშინაც სიცილად არ ეყო: აკი მოვსპე საქმე, შეცდომით გამოუგზავნიათ, რა ყურს უგდებთო. ეს ინდუსტრიაა, თუ ჩარჩ-ბაცაცობა?

5) გაკეთებულს ოჯახს დაუნათლიავდა შემოხიზნული. იმ დროს ურჩია ორი კამეჩის სყიდვა, როცა ოჯახს ფული არა ჰქონდა. თანაც უთხრა, რომ უფულობით არ დაეშალოთ კარგი საქონლის შეძენა. ფულს თვით მისცემს უსარგებლოდ. იყიდეს კამეჩები შვიდ თუმან ნახევრად. ჯერ ფული უბარათოდ მისცა. რამდენიმე თვის შემდეგ, სიკვდილ-სიცოცხლეაო, ნათლიმამ, მოდი ნაცვალს შევამოწმებინოთ პატარა ბარათიო. ასეც მოხდა, ამის შემდეგ ორჯელ კიდევ შეამოწმებინეს და ოთხი წლის შემდეგ შემოწმებულ ბარათში ოც-და-ათი თუმანი აღმოჩნდა. ისიც მაშინ, როცა გლეხის საქონელი ნათ-

ქალაქის მამულების ხელ-მეორედ დაფასების ხარჯის დასაფარავად, რომელიც 35,440 მან. არის აღრიცხული, 1896 წლის დასაფასებელ გარდასახადს $^1/_8$% მიემატოსო. თქვენ გარდასწყვიტეთ ეს ფული დაიხარჯოს და ის წყარო-კი არ გვიჩვენეთ, საიდამ უნდა ვხარჯოთ ეს ფულიო. ამიტომ $^1/_8$% დასაფასებელი გარდასახადი რომ მივუმატოთ მამულის პატრონებს, სრულიად დაიფარება ეს ხარჯიო.

ქქ. ქოჩორიანცი. თუ აგრე ადვილად შეგვიძლიან $^1/_8$%-ების მომატება და გარდასახადის გაძლიერება, მაშ მამულების ხელმეორედ დაფასების საქმე რაღად ავიკვიატეთ და 35,440 მან. ხარჯი რაზედ მოვიხვიეთ თავზე?! (სიცილი).

ა. ს. ბაბოვი. საკვირველია, რომ ქალაქის გამგეობას წყარო ვერსად ვერ მოუპოვებია. მამულის პატრონები ისეც გაჭირვებულნი არიან და ძველის წლების გარდასახადიც ჯერ კიდევ შემოუტანელი აქვთ. ქალაქის გამგეობის საყვედურად უნდა ვსთქვა, რომ აგერ სამი წელიწადია ხმოსანი ვარ და ერთხელ არ მახსოვს, რომ ახალი რამ წყარო ეპოვნოს შემოსავლისა. რაკი საშიშოა, რომ შეიძლება დეფიციტი გვქონდეს ხარჯთ-აღრიცხვაში, გადავდოთ ეს საქმე იმ დრომდე, ვიდრე საბიუჯეტო კომისია ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას დააბოლოვებდეს.

ა. ა. ივანენკო. რაღა წყარო უნდა გიპოვნოთ შემოსავლისა, როდესაც ყველაფერზე ხარჯია გაწერილი, მარტო ერთი ძაღლები-ღა არიან დარჩენილნი უგარდასახადოდ.

მ. ი. დოლუხანოვი. დაფასება დავიწყოთ, ფული დამხმარებელ თანხიდამ ვისესხოთ და თუ მართლა დეფიციტი აღმოგვიჩნდა, ნელ-ნელა გადავიხადოთ.

ა. ს. ბაბოვი. მაგ თანხას ხელს ვერ ვახლებთ, ეგ თანხა ყოველთვის გამოსაყენებელია. 1896 წელიწადი ნაკიანი წელიწადია და, ვინ იცის, იქნება ხოლერაც გაჩნდეს. (სიცილი გაისმის).

მ. ი. თამამშოვი. არც აგრე ფორმალურად საქმის დაყენება ვარგა: წყარო გვიჩვენეთო. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მამულების ხელ-მეორედ დასაფასებლად რამდენიმე ათასი მან. დაგვეხარჯა და შეგიძლიანთ ეს ხარჯი გასწიოთ. თუ ხარჯთ-აღრიცხვაში დეფიციტი აღმოჩნდა, ჩვენვე ხომ შეგვიძლიან სხვა ხარჯი რამ შევამციროთ და ამ საშუალებით ბალანსი შევათანაბროთ. თუ არა-და, აი, წყაროდ ძველის წლების შემოუტანელი დასაფასებელი გარდასახადი დამისახელებია და გთხოვთ ამ ჩემს წინადადებას კენჭი უყაროთ.

ქალაქის მოურავი. ეგ ვერაფერი წყაროა შემოსავლისა.

ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. თქვენ ამბობთ, რომ ხარჯთ-აღრიცხვას მაისამდე წარმოგიდგენთო. მაშასადამე, პირველ იანვრიდამ რომ შეუდგეთ დაფასებას, 35,440 მან.-კი არ დაგჭირდებათ, რადგან ეს ფული მთელის მაგ საქმის ხარჯია და ეგ საქმე-კი წელიწად-ნახევარს გასტანს, 5—6 ათასი მან. მოგინდებათ. ამის წყარო-კი ადვილი დასასახელებელია. საქმე იმაშია, რომ ეგ ხელმეორედ დაფასებას საქმე 1897 წლამდე მოვრჩეთ, რადგან შემდეგ ახალი ხმოსნები უნდა იქმნენ არჩეულნი.

ქალაქის მოურავმა ფეხზე ადგომით კენჭი უყარა სამს საკითხს: 1) დაწყებულ იქმნას ხელ-მეორედ მამულების დაფასება და $^1/_8$% დასაფასებელი გარდასახადი მიემატოთ მამულის პატრონებს, 2) გადიდოს ეს საქმე ხარჯთ-აღრიცხვის საბჭოში წარმოდგენამდე და 3) დაფასება დაიწყოს და ხარჯი გამგეობამ შემოუტანელ ძველ დასაფასებელ გარდასახადის მოკრებით გასწიოს. პირველი წინადადება საბჭომ არ შეიწყნარა, მეორე შეწყნარებულ იქმნა, ხოლო მესამესათვის კენჭი აღარ უყრიათ. ამგვარად ქალაქის მამულების ხელ-მეორედ დაფასების საქმე ხარჯთ-აღრიცხვის საბჭოში წარდგენამდე გადაიდო.

## კორესპონდენცია.

ს. ნიგოითი, (გურია). ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, სწორედ მოგახსენოთ, აღარაფერსა ჰგავს. რომელი მხარე არსებობისათვის რომ ჩვენ უბედურობას არ გვიქადოდეს?! მთელი ზაფხული ისეთი უგუნმართობით გავიდა, რომ ყანებიდამ ხელ-ცარიელი დაგვტოვა. მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, თუ ეს ავდრიანი ზაფხული ეგმარებინა ბუნებას ჩვენთვის და ასეთი უჩვეული სტიქიონის ძალით არ დაენგრია ჩვენი სოფელიც... იშვიათი იყო ასეთი მოსავალი ჩვენში, რომ მესამედი წლის სარჩო მოსვლოდეს, მაგრამ ვისაც რა გააჩნდა, სამი ოთხი თვის სამყოფი, იგიც ამ წყალდიდობამ გაიძღვანია შავი ზღვისკენ და ზოგიერთი სული ულუკმა-პუროდ დასტოვა. წაიღო ადიდებულმა წყალმა მრავალი საქონელი და ნაშრომ-ნაღვაწი სოფლისა; „ნალიები“, სახლის ფიცრები, სამარკვლები და ამ გვარი სოფლის საჭირო ნაამაგარი შავი ზღვის უფსკრულს შეუერთა ცხლანდელმა თითქმის წარღვნამ. ზოგს ცხლაც არ აქვს მშრალი და თებერვლის შემდეგ ხომ ყველანი „უხვევსოთ“ დავრჩებითო—სტირიან გლეხები. მაინც არა სჩანს გასასვლელი სიმინდი არსად, მაგრამ რომ იყოს კიდეც, რითი უნდა ვიყიდოთ?!..

როგორ უნდა გავუძლოთ ამ დღეში მეოფმა სოფელმა ამდენ გარდასახადებს: ფოსტის ფულს 20 მანეთამდე ახდევინებენ „კამელარიას“, ამათთან დარაჯების ჯამაგირი, 600 მანეთი, მაღაზიის ფული და სხვა მრავალი.

ერთი ნიგოითელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

როგორც პეტერბურგიდამ მილანის გაზეთ „სეკოლო“-ში გაგზავნილ დეპეშიდამა სჩანს, აბესსინიას რუსეთის პროტექტორობა მიუღია. დეპეშა ამბობს:

რუსეთის საპატიო წრეებმა იტალიის ელჩის გრაფის მაფფეის ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ რუსეთი იძულებული იქმნება წინააღმდეგობა გაუწიოს იტალიელთა მხრივ აბესსინიაში ახალი ადგილების დაპყრობას, რადგანაც აბესსინიამ ფორმალურის ხელშეკრულობით აღიარა რუსეთის პროტექტორატობაო. იტალიის ელჩმა წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა, რომ იტალია ყოველგვარ ხელშეკრულობაზე უარს აცხადებს გარდა უჩჩიაილის ხელშეკრულობისა, რომლითაც, როგორც ვუწყით, აბესსინიაზე უფლება მხოლოდ იტალიასა ჰქონდა მინიჭებულიო.

რამდენად მართალია ეს ამბავი, ჩვენ ვერაფერს ვიტყვითო, დასძენს ამას გაზეთი „ნოვოე ვრემია“.

## უცხოეთი

ვენესუელას საქმე. „ნიუ იორკ ჰერალდს“ ატყობინებენ, რომ პრეზიდენტ კლიველენდს დაუნიშნავს 100,000 დოლარი სახარჯოდ იმ კომისიისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს ბრიტანიის გვიანისა და ვენესუელას შორის ამტყდარის დავის განხილვა. „ტაიმსის“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტი ამბობს:

კომისია შესდგება ისეთი დამოუკიდებელისა და მაღალ-ზნეობრივი კაცებისაგან, რომ ეჭვი არ არის საქმის გარდაწყვეტაში ყურადღებას არ მიაქცევს კლიველენდის განზრახვასო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-სავე ატყობინებენ: ბალტიმორის ვაჭრებმა და მექარხნეებმა გარდასწყვიტეს, რომ წინააღუდგენ ყოველივე წინდაუხედავ მოქმედებას და სთხოვენ კონგრესს, ყოველივე ღონე იხმაროს და მშვიდობიანად გაათავოს საქმე, მაგრამ ისე-კი რომ ქვეყნის თავ-მოყვარეობა არ იქნეს შელახული.

ნიუ-იორკის ბანკირების გამოკვლევით, ევროპის საფინანსო დაწესებულებანი და ბანკები ჰყიდიან ერთობ ბევრს ამერიკულს ფასიან ქაღალდებს და ამის მიზეზით ქაღალდების ფასი დაეცა.

იმავე გაზეთს ატყობინებენ: ლონდონის პოლიტიკური და საფინანსო მოღვაწენი უცხადებენ შეერთებულ შტატებს მეგობრულ გრძნობას და სრული იმედი აქვთ, რომ ომი არ იქმნება. მიუხედავად ამისა ამერიკის ფასიანი ქაღალდები მოაქვთ ბირჟაზე და უნდათ როგორც იქნება გაჰყიდონ. ამის მიზეზით ქაღალდების ფასმა ძალიან დაიწია.

ამის შესახებ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ამბობს 20 და 21 დეკემბერს შეერთებული შტატების ხალხმა დაჰკარგა ერთი მილიარდი დოლლარი, კლიველენდის ეპისტოლეს წყალობით. ჩვენს ფულზე რომ გამოვიანგარიშოთ ამერიკას დაუკარგავს 10 მილიარდი მანეთი, ე. ი. ხუთჯერ მეტი იმაზე, რაც გერმანიამ გადაახდევინა საფრანგეთს 70-ში გამარჯვების შემდეგ.

მიუხედავად ამისა პრეზიდენტის მოქმედებას დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ შტატებს გარეშეც. ბრაზილიის ფედერალური საბჭო დეპეშით უცხადებს თანაგრძნობას შტატების სენატს კლიველენდის ეპისტოლეს გამო, რომელშიაც იგი იცავსო უმაღლესს უფლებას და თავისუფლებას ამერიკის ერებისას.

## სასამართლოს მატიანე.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა და თავ. ვ. მ. თუმანიშვილის საქმე.

გუშინ, 19 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ჩვენის გაზეთის რედაქტორის თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა და გაზ. „ნოვ. ობოზ.“ რედაქტორის თავ. ვ. მ. თუმანიშვილის, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ 1893 წელს თავიანთს გაზეთებში გაეკიცხათ საჩხერის ფერშალი მაშკინი. ორსავე გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ საჩხერის ერთმა ფერშალმა, რომელსაც სოფლის საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი მიუყვანეს, ყური არ უგდო ავადმყოფს, თვით ბანქოს თამაშობაში ერთობოდა მაშინ, როდესაც საბრალო ავადმყოფი ხრიალებდაო და სხ. ამ შენიშვნების დაწერისა გამო ფერშალს მაშკინს საჩივარი შეეტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელშიაც აცხადებდა, რომ იმ დღეს სოფლის საავადმყოფოში მე ვიყავიო, გაზეთში დაბეჭდილი ცნობები სიცრუეაო; მართალია, ავადმყოფი მოიყვანეს, მაგრამ მომაკვდავი იყო და იმიტომ არ მივიღეო; გაზეთები უბრალოდ ჩირქსა სცხებენ ჩემს სახელს და გთხოვთ როგორც თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, ისე თავ. ვ. მ. თუმანიშვილი დასაჯოთ სასჯელთა დებულების მე-1139 და 1140 მუხ. ძალითაო.

სამოსამართლო პალატაში თავ-

---

ლიას საქონელში ერია. ნათლიამ მიზეზი გამონახა, ნითლიმამა წაიჩხუბა. რაც მისს ნათლიის ნახირში ერია, დაიჩემა, ნასყიდი დაუძახა. ზედ ოც-და-ათ თუმნიანი ვექსილით ფულის თხოვნა დაუწყო. ნათლიმამა ბოლმამ გახეთქა. აუწერა ქვრივ-ობლებს მამულები (ნათლიმამა მესაკუთრე იყო.) დაინარჩუნა. ისე, რომ ნახევარი ვალი კიდევ დარჩა. სახლი გაუყიდა. იმ დროს ქიაობა ეჭირათ სახლში და ქია ლასტებით კარში გადმოუყარეს ბარგთან ერთად. ეს ინდუსტრიაა, თუ ჩარჩ-ბაცაცობა?

6) ქართველს მამა მოუკვდა. კარგი მამულების პატრონი იყო. მოვიდა ნათლია, მოუსამძიმრა. ფული სთხოვეს. მე ნათლიმამას ფულს სარგებლით ვერ მივსცემო. ისევ ღვიოზე მივცემო. საპალნე შვიდ მანეთად დაიკვეთა. გირავნობის ფურცელი შეამოწმებინა. ოცი საპალნე დაიკვეთა. ყოველ წელიწადს ორ საპალნეზე ნაკლები არ წამოუღია და ბევრჯერ მეტიც. ხუთმეტი წელიწადი ეზიდა. ყოველთვის ბათილამას აძლევდა და შიგ საპალნების რიცხვს სწორედ უნიშნავდა, ხოლო გირავნობის წერილის თარილს სხვა-და სხვა დროდ აღნიშნავდა. ერთხელ კიდევაც გამოაცვლევინა გირავნობის წერილი. მაშინ სუყველანი ჩითის კაბებით დამოსა მუქთად. ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ გირავნობაში ერთი ჩარექა ღვინო არა ჰქონდა მიღებული. რაც ბათილამები წარმოადგინა ნათლიმამამ, სულ სხვა გირავნობას ეხებოდა. ეს ინდუსტრიაა თუ ჩარჩ-ბაცაცები?

თქვენ მიბრძანებთ, ერთი-ორის დანაშაულით მთელი ხალხოსნობის დამნაშავედ აღვიარება არ იქმნებაო. მე უკეთესს მოგახსენებთ. თვითვეული ხალხოსნობა მე წმიდა-წმიდად მიმაჩნია. როგორც ჩემი ხალხოსნობის შეურაცხება მეწყინება, ისე სხვა ხალხოსნობისა, მიუხედავად იმისა, რომელი ხალხოსნობაა. აგრეთვე შემოხიზნულთა ხალხოსნობასა ვსცემ პატივსა, ესეც არა კმარა, მათი ხალხოსნობის წარმატებაც მახარებს. გულით მინდა ყველა ხალხოსნობის კეთილდღეობა. მაგრამ ყველა ეს, რაც ითქვა ხალხოსნობაზე, რა შუაშია. მე ერთი სიტყვითაც არ შევხებივარ შემოხიზნულთა ხალხოსნობას და არც ჩამოვარდნილა ხალხოსნობაზე ლაპარაკი. თუ ჩამოვარდება, იცოდეთ, მე მათი ხალხოსნობის და აგრეთვე ყველა სხვისა მომხრე ვარ და ვიქნები.

მე მოგახსენებდით შემოხიზნულებზედ, რომელნიც თვის-და-თავად ხალხოსნობას არ შეადგენენ. ამათ ქცევა-მოქმედებაზე იყო ლაპარაკი. თქვენ ისინი—შემოხიზნულნი და არა მათი ხალხოსნობა—ინდუსტრიით გამარჯვებულებად აღიარებთ. მე ექვსი ნიმუში მათი მოქმედებისა მოგახსენეთ. შემეძლო, თვითო მათგანზე ექვსი იმოდენა მეთქო, ვიმეორებ, თვითო მათგანზე, მაგრამ საჭიროდ არა ვრაცხ. აბა თქვენ დამისახელეთ 10% იმათი, რომ არ იყოს ექვსში ერთის მომქმედი? გამოდის, რომ 90%, რასაკვირველია, მე იმათზე ვამბობ, ვისზედაც წინა წერილში ვლაპარაკობდი, რომ 90% მათი იმ ჩარჩ-ბაცაცობას ადგა, რომლის ნიმუშები ზევით მოვიხსენიეთ. თუ ქართველობა, როგორც თქვენ ამბობთ, ვერ გაუმკვლავდა შემოხიზნულთ ინდუსტრიაში, ეგ იმიტომ-კი არა, რომ დაქვეითებული არის. სხვაგან თუნდა მაგრეც იყოს, აქ მაგით არ აიხსნება. აქ ვერ გაუმკვლავდა მიტომ, რომ მეტად მდაბალი ხარისხის იარაღი აირჩიეს, როგორც ზემორე ნიმუშები გვაჩვენებს და გამმკვლავებელთაც იგივე საშუალებანი უნდა ეხმარათ. ეს-კი ათასში და ათი-ათასში ერთმა არ იკისრა. მეტყვით, თუ სხვა უკულმართობანი იკისრეს, ეს რიღათ გაირჩეოდაო? მართალია, დღესაც მრავალს აქვს ნაკისრები ისეთი უკულმართობა, რომ ჩამოთვლილს ნიმუშებს თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება, მაგრამ ის უკულმართობანი აღმოცენებულ არიან სულ სხვა ნიადაგზე აქ იმაზე ლაპარაკი მეტად შორს წაგვიყვანს.

მიკიჟინებთ, ბეჭდვითი სიტყვით მუშტზე წაქეზება დიდი ბარბაროსობააო. მე ერთი სიტყვითაც მუშტზე არავინ წამიქეზებია. წინააღმდეგ ვამხელდი, ვისიც ჯერ იყო სმენად, რომ მუშტისთვის თავიც აერიდებინათ და ფეხებიც. ჩარჩ-ბაცაცობას არც შემოხიზნულთა ხალხოსნობა სცემს პატივსა. ჩარჩ-ბაცაცობაზე თვით მათ ლიტერატურაში ბევრი ცხარე-ცხარე წერილები დაწერილა და ბევრს საუკეთესო მათს პოეტებს იგივე დაუსურათებიათ მრავალნაირად. ყველა ამ ნაწარმოებში მრავალჯერ გამოთქმულა მტკიცედ აზრი, რომ დროა აილაგმოს როგორმე ეს გადაჭარბებული არა ადამიანური მოქმედება ჩარჩ-ბაცაცებისა. მე-კი იმის თქმასაც მოვერიდე, რაც დიდი ხანია ნათქვამია საუკეთესო მათს წარმომადგენელებისაგან. თქვენი წერილით თითქო მოსარჩლობას უწევთ, მაგრამ გარწმუნებთ, ეგ სარჩლი მათი საზარალო თუ არ არის დღეს, ხვალ, ხვალ ზევით იქნება მოუნელებელ სენად გარდაექცეთ.

ამიტომ საჭიროა, ვიცოდეთ ყველამ, აქ შემოხიზნულთა ქცევა-მოქმედება ინდუსტრიულია, თუ ჩარჩ-ბაცაცური? იქნება დრო იყოს მოვაგონოთ მათ ერთი მეცნიერის სიტყვები: „ყველა პირუტყვნი განუწყვეტლივ ურთი-ერთს ებრძვიან; ერთი მოდგმისანი ცდილობენ მეორე მოდგმის პირუტყვთა შთანთქმას, მაგრამ ღმერთს ადამიანისათვის იმისთვის-კი არ მიუციათ გონება, რომ პირუტყვს დაემგზავსოს...

ი.

მჯდომარეობდა ვ. ვ. კარნოვიჩი, წევრებად იყვნენ ლ. ს. სტალინსკი და ბ-ნი გლუშანოვსკი. დამნაშავეთ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე პ. მ. დოლუხანოვი. ბრალმდებლად იყო სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ხოლოდოვსკი. თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ და თავ. ვ. მ. თუმანიშვილმა არ იცნეს თავისი თავი დამნაშავედ. ბრალმდებელი იმ აზრისა იყო, რომ ორივენი უნდა დაისაჯნენო. ბრალდებულთა დამცველმა პ. მ. დოლუხანოვმა სთქვა, რომ რაც შეეხება კორესპონდენციების პირველს ნაწილს ქაღალდის თამაშობის გამო, მაშკინის სახელი არც ერთს გაზეთის კორესპონდენციაში დასახელებული არ არის და არ გვესმის თავისი თავი რად უცვნია იმ ანდაზასავით ხომ არ მოუვიდა მაგასაც, რომ ქურდის თავზე ქუდი იწვისო. რაც შეეხება ავადმყოფის მიუღებლობას, ეგ რომ სწორედ ეგრე ყოფილა, ამას შემდეგი ქაღალდები ამტკიცებსო. წარედგინა სასამართლოს ქუთაისის საექიმო გამგეობის მოწერილობა, რომელსაც შეჰკითხებოდა კავკასიის სამკურნალოს ნაწილის მმართველობა გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციათა გამო და რომელიც პასუხს იწერებოდა, რომ მაშკინს, როგორც დამნაშავეს მძიმე ავადმყოფისმიუღებლობისათვის სრული და გასტუმრება დავუპირეთ, მაგრამ სახეში იქმნა-რა მიღებული მისი ხანგრძლივი სამსახური, უფროსის ფერშლობის თანამდებობიდამ უმცროსად დავნიშნეთ და დავემუქრეთ, რომ თუ კიდევ ჩაიდენს ამგვარს საქციელს, დათხოვნილ იქმნება სამსახურიდამაო. ეს ქაღალდები ამტკიცებსო, სთქვა ბ-ნმა დოლუხანოვმა, რომ მართლა დამნაშავე ყოფილაო და სთხოვა ბრალდებულნი გაემართლებინათ.

სამოსამართლო პალატამ მცირეოდენის ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და თავ. ვ. მ. თუმანიშვილი დიფამაციაში, რომელსაც ბრალად სდებდა საჩხერის ფერშალი მაშკინი, გამართლებულად იქმნენ ცნობილნიო.

## ბიბლიოგრაფია.

„ღვინის დაყენება“, პრ. ვ. პეტრიაშვილისა.

ამ ოთხი-ხუთის წლის წინად ერთ-ერთ უნივერსიტეტის ქალაქში, ჩვეულებრივად შეყრილიყვნენ ამხანაგები (ქართველი სტუდენტები) და ბაასობდნენ სხვა-და-სხვა რამეზედ. ერთმა მათგანმა ხელი მოჰკიდა განოს ფიზიკას, რომელიც იქვე მაგიდაზედ იდვა და სთქვა: ნეტავი იმ დღეს მოვესწრებოდე ერთი ამხელა წიგნი დამანახვა ჩვენს დროში დაწერილიო, თუგინდ რაც იყოს სულ ერთიაო. ამ ყმაწვილს უთუოდ სიზმრადაც არ მოსჩვენებია და სიზმრადაც მიიჩნდა, ვისმე რომ ეთქვა: ოთხის წლის შემდეგ ქართულს ენაზე გამოვა თხზულება, რომელიც დიდად სერიოზული მეცნიერული შრომა იქნებაო და რომელსაც 600-მდე გვერდი in 8° ექნებაო. მაგრამ დღეს-კი ეს აგვიხდინა პროფ. პეტრიაშვილის შრომამ. რასაკვირველია, ჩვენ ძალი და ღონე არ შეგვწევს დავაფასოთ ყოველივე ღირსება ამ ძვირფასის შრომის, მაგრამ ეს-კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს წიგნი საძირკვლად დაედება მეცნიერებას ქართულს ენაზე და ამ მხრით მისი დიადი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია.

ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა ამ წიგნისა აგრეთვე მეტად დიდია და ყოველი მეურნეობის მოყვარის და მიმდევარის, ყოველ მეოჯახე კაცისათვის მიუცილებელია. და რაც-კი შეეხება ღვინოს, ყოველიფერი საფუძვლიანად და მეცნიერულად გამოკვლეულია. ამ წიგნის მდიდარი შინაარსის შესაგნებად ისიც საკმარისია თუ მოვიყვანთ რამდენიმე სათაურს. წიგნში აწერილია: ყურძნის დამწიფება (4—29) რთველი (29—47) ტკბილი და მათი ვითარება (47—97), ტკბილის დადუღება (100—192), ახალის ღვინის დაყენება, მოვლა და შენახვა: მარანი და სარდაფი, ღვინის შესანახი ჭურჭელი, ღვინის გადასატან-გადმოსატანი ჭურჭელი, ჭურჭლის გაწმენდა და შენახვა, ღვინის დაწმენდა, ღვინის ბოთლებში ჩასხმა და შენახვა (194—234), ლიქრიან ღვინის დაყენება, ხმელი ყურძნის. ღვინო, შამპანური ღვანო (234—281), ღვინის სხვა-და-სხვა გვარად დაზიანება და დასნეულება, მოვლა და შეკეთება (356—403), ჭაჭა, თხლე და მათი მოხმარება (446—430), ძმარი და მის მომზადება (430—507) წიგნს დართული აქვს ტერმომეტრების შედარება, მეტრიული სისტემის შედარება ჩვენში ხმარებულთან და მოთვლილია ლიტერატურული ნაწარმობი ამ საგნის შესახებ.

მთელი თხზულება დაწერილია მშვენიერის და ადვილად გასაგების ენით, მდიდარია მრავალის მეცნიერულის ტერმინებით, რომელიც პატივცემულს პროფესორს დიდის ხელოვნებით აქვს ნახმარი, როგორც მცოდნე პირთაგანაც გაგვიგია.

რაიცა შეეხება გარეგან მხარეს, წიგნი ლამაზად და სუფთად არის დაბეჭდილი, შიგ ჩართული აქვს მრავალი და მშვენიერად ამოჭრილი სურათები. ღირს წიგნი 2 მ. 50 კ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

ვსთხოვ პატივცემულს საზოგადოებას, თუ რომ რამე საქმე ექნება ლანჩხუთის წიგნთ-საცავთან, მაქმართოს გამგეს ხსენებულის წიგნთ-საცავისას, რასაც წინადაც ვაცხადებდი; ყოველგვარი შეწირულება, თუ საჭირო ცნობები, მსურველთ შეუძლიანთ ამიტომ წარუდგინონ მას და მოითხოვონ მისგან. ხოლო თუ ვინმე მომმართავს მე ამა თუ იმ ცნობისათვის, როგორც დღემდის მოხდა ეს ერთი ორჯელ, მაგ. „ივერიის“ 259 №-ში ბ-ნმა „გულშემატკივარმა“—მაშინ შემიძლიან ვსთქვა, რომ მომმართველს ჩემთან აქვს რამე პირადი საქმე და არა წიგნთ-საცავთან, რომელიც აქ არაფერს შუაშია და ამიტომ ვსთხოვ მათ კერძო წერილი მომწერონ ხოლმე; და წიგნთ-საცავი არ ჩაურიონ საქმეში; იგი თავისს დანიშნულებას ასრულებს, ხალხს ემსახურება და არც შეიძლება მისი პირად საქმესთან ერთად ხსენება.

ლანჩხუთის წიგნთ-საცავის დამაარსებელი
შალიკო ივანეს ძე ცინცაძე.

1894 წ. 18 დეკემბერი.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნს მიხეილ მესხს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა სახალხო თეატრისათვის სცენის გასამართავებლად საჭირო ფიცრების შეგროვებაში. შემომწირველთა სია: აღარია ტერ-ასატუროვმა და გაბ. ავშაროვმა თითომ 10 ფიცარი; აღაბეგ გავჭანიანცმა 7 ფიცარი; გიორ. ხვარბალაძემ, გარ. ბაგრამოვმა და მეთ. ნეფარიძემ თითომ 3 ფიცარი; ტირ. გართანოვმა, ზაქ. ელჩიევმა, ეარ. ელჩიევმა, ხეჩ. ოჭანეზოვმა, სიმ. ჯაფარიძემ, გარ. მათუზოვმა, და. გ. ჩიხრაძემ, გლახა სირაძემ, იოს სირაძემ, კირ. სირაძემ და ივს. გვნწიევმა თითომ 2 ფიცარი. დიმ. მაცაბერიძემ, სიმ. აკოფოვმა, თად. გრძელიშვილმა, სერ. ცარიელოვმა, სიმ. ბრეგვაძემ, ივს. სირაძემ, ექ. ალავიძემ, ის. ფარქოსაძემ, ფირ. ბეგაშვილმა, ზაქ. სირაძემ, პეტ. ბერიძემ, ფარ. სირაძემ, გ. დემეტრაშვილმა, ანტ. ჩიხრაძემ, იაკ. ქებოჩოვმა, სიმ. სირაძემ, ნარ. სირაძემ და გრ. დვალმა თითომ 1 ფიცარი. თეატრის მოყვარულმა 3 მ. უგულა ზემოხსენებულ პირთ ვუცხადებთ დიდს მადლობას ასეთის თანაგრძნობისათვის.

სოფ. ციციშვილი.
გრ. დიასამიძე.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი გუგუნავანი. 6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს გურიის თავადთა სიოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი გუგუნავანი: 1) პრაპორშჩიკი დავით სვიმონის ძე, ცოლი მისი ელისაბედი და შვილი ამათი სვიმონი; 2) სეკუნდანტ სვიმონის ძე, ცოლი მისი ნინო და ასული ამათი გულჩინო; 3) მანუჩარ ბეროს ძე, ცოლი მისი მართა, შვილნი მათნი: ბეჟანი, კოსტანტინე, სვიმონ, ალექსანდრე, ფოტინე, დოდო და ატატო; 4) გარსამ ბეროს ძე, ცოლი მისი მზეხა და შვილი მათი მამუკა; 5) ქვრივი ალექსანდრესი—ელისაბედი და შვილი მათი მიხეილი; 6) ქვრივი ბეჟანისა—მაკა, ასულნი ამათნი: დომანა და ნატალია და 7) გიორგი ჩიტას ძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 18 დეკემბერს აქ მოვიდა აარიფ-ფაშა, რომელმაც მოიტანა ხელმწიფე იმპერატორის მისართმეველად სულთანისაგან გამოგზავნილი საჩუქრები და ბარათი.

**კონსტანტინეპოლი.** 15 დეკემბერს დაატუსაღეს მრავალი ოსმალო, მათში სამი მოხელე და ადიუტანტი სულთანისა; ამბობენ დატუსაღება მოახდინეს მიტომ, რომ წარსულ პარასკევს სალამალექის დროს უნდოდათ მოეხდინათ დემონსტრაცია და ეხლანდელი მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოეცხადებინათო. რადგანაც დროზედ საჭირო საშუალება მიღებულ იქმნა დემონსტრაცია არ შესდგა.

**მასსოვა.** აქ მოვიდა ჯარებით დატვირთული გემი.

19 დეკემბერი.

**პეტერბურგი**, გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ საპყრობილეთა მმართვა-გამგეობა შინაგან საქმეთა საიმინისტროს უწყებიდამ სასჯულო საქმეთა სამინისტროს უწყებაში გადადის.

**ვლადივოსტოკი** («ნოვ. ვრემ.»). იაპონიის მთავრობას ინგლისის ქარხნებისათვის შეუკვეთნია ათი სამხედრო გემი. ხიროშიმას მოვიდა იაპონიის 15 გემი, რომელთ მოიყვანეს ჯარები ლიატონგის ნახევარ-კუნძულიდამ.

**კონსტანტინეპოლი.** ობერ-შტალმეისტრად ნამყოფს, იზზეტ-ფაშას სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილებით ჩამოერთვა ყოველივე ღირსება და გაიგზავნა მოსსულს. პეტერბურგში სამხედრო აგენტად მყოფი აზის-ბეი სამხედრო სამართალში იქმნა მიცემული.

**ლონდონი** («ნოვ. ვრ.»). ტრანსვალიის რესპუბლიკაში დასახლებულნი ინგლისელნი ამზადებენ მცხოვრებთ რევოლიუციის მოსახდენათ, რათა ეს რესპუბლიკა ბრიტანიის ახალ-შენად გარდაქმნან. რესპუბლიკის მთავრობა ჯარებს ამზადებს ინგლისის განზრახვისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ინგლისელებმა თხოვნით მიჰმართეს კაპის ახალ-შენის მთავრობას დაიფარონ იგინი. პრეზიდენტმა ტრანსვალიის რესპუბლიკისამ გაგზავნა ექიმი ლეიცი ბერლინს და დაავალა სთხოვოს იმპერატორ ვილჰელმს მფარველობა.

**იოანსბურგი** . ამბობენ , რომ ტრანსვალიის რესპუბლიკა ფარულად ემზადება ომისათვის. ალებ-მიცემობა შეფერხდა. ამერიკელთ და ესპანელთ მთავრობის მხარე უჭირავთ, დანარჩენ უცხოელთაგან მხოლოდ ზოგიერთი თანაუგრძნობს მთავრობას . მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყანა საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ ყველა მოემზადოს სამხედრო სამსახურისათვის.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინის, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—60).

გარგის ლუდების მოყვარეთ ვურჩევთ:
ლუდის „საფე“-ს—საუცხოვო და სასიამოვნოა.
საფეს „საფე“-ს—მშვენიერი სუნი აქვს და
მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

ს. პ. ბ. ხარშულ-ქიმიური ლაბორატორია.
(7—5)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის
ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

მტრედი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Декабря 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.